

ქართული რომანტიზმის პოეტიკა

თამარ ლომიძე



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2014

ქართული რომანტიზმის პოეტიკა
თამარ ლომიძე

სამეცნიერო რედაქტორები:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ირმა რატიანი;
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გაგა ლომიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

თინათინ კვიციანი

გარეკანი:

თამარ ბასილია

© 2014 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-18-219-8

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

წინათქმა	1
შესავალი	2
თავი პირველი	
ქართველ რომანტიკოსთა მხატვრული ენა	18
ა) ალ. ჭავჭავაძის „გოგჩა“	18
ბ) გრ. ორბელიანის „ჩემს დას ეფემიას“	23
გ) ნიკ. ბარათაშვილის „მერანი“	32
დ) ნიკ. ბარათაშვილის „ხმა იდუმალი“	40
ე) ფერის მხატვრული გააზრების თავისებურებები ნიკ. ბარათაშვილის პოეზიაში	43
ვ) ნიკ. ბარათაშვილის „ფიქრნი მტკვრის პირას“	49
ზ) ნიკ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“	51
თ) ნიკ. ბარათაშვილის რითმა	56
თავი მეორე	
რომანტიკული გროტესკის ელემენტები ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში	65
თავი მესამე	
კარნავალური მოტივები ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში	80
თავი მეოთხე	
„მე“-ს კონცეფცია ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში	95
დანართი	
მეტონიმია ჟენეტთან	116

რეზიუმე

ქართული რომანტიზმის პოეტიკა 123

Poetics of Georgian Romanticism 145

გამოყენებული ლიტერატურა: 164

საძიებლები 173

წინათქმა

წინამდებარე ნაშრომში პირველად არის მონოგრაფიულად შესწავლილი ქართველ რომანტიკოსთა მხატვრული აზროვნების პრობლემა და შემოთავაზებულია თეორიული ანალიზის თვისებრივად ახალი მეთოდოლოგია.

რომანტიკული მწერლობა ქართული ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია. მისი ტროპული, სტილური და სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებების მონოგრაფიული შესწავლა აქტუალურია როგორც, ზოგადად, ლიტერატურის თეორიის, ასევე – ლიტერატურის ისტორიის მრავალი საკითხის გასაშუქებლად.

ქართველ რომანტიკოსთა ქმნილებები მრავალმხრივია შესწავლილი ჩვენს მეცნიერებაში. წინამდებარე ნაშრომი თეორიული ხასიათისაა და, ამასთან, ითვალისწინებს ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების ანალიზს ახალი თეორიული კონცეფციის საფუძველზე. ამდენად, ქართველ რომანტიკოსთა მხატვრული ნააზრევის კვლევის ისტორია აქ განხილული არაა, თუმცა ვითვალისწინებდით არსებულ თვალსაზრისებს ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

მონოგრაფიის მიზანს წარმოადგენდა, პირველ ყოვლისა, თეორიული ანალიზის საგანგებო ინსტრუმენტარიუმის შემუშავება მეოცე საუკუნის გამოჩენილი ლიტერატურათმცოდნისა და ლინგვისტის, რომან იაკობსონის პოეტიკური კონცეფციის საფუძველზე და ამ ინსტრუმენტარიუმის მეშვეობით ქართველ რომანტიკოსთა მხატვრული აზროვნების სპეციფიკურ თავისებურებათა გამოვლენა – როგორც ცალკეული ტროპების, ასევე – მხატვრულ ნაწარმოებთა სტრუქტურის, მოტივების, სტილისა და მსოფლალქმის დონეებზე.

წინამდებარე მონოგრაფიაში ჩამოყალიბებულ დასკვნებს აქვს მეცნიერული ღირებულება როგორც, ზოგადად, ლიტერატურის თეორიისთვის, ასევე – ქართული ლიტერატურის ისტორიისთვის. დაკვირვებები ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაზე და თეორიული პოეტიკის საკითხთა კვლევის შედეგები დაეხმარება ამ საკითხებით დაინტერესებულ მეცნიერებსა და სტუდენტებს.

შესავალი

ქართული რომანტიზმის პოეტიკის კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლად შევარჩიეთ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თეორიული კონცეფცია, რომელიც მეოცე საუკუნეში იქნა შემუშავებული.

საზოგადოდ, მეოცე საუკუნის ლიტერატურათმცოდნეობაში ჩამოყალიბდა მრავალი ურთიერთგამომრიცხავი თეორიული კონცეფცია. თითოეულ მათგანს გააჩნია არა მარტო საკუთარი მეთოდოლოგია და დამოუკიდებელი ცნებითი აპარატი, არამედ უეჭველი პრეტენზიაც მეცნიერული ჭეშმარიტების „საბოლოო ინსტანციის“ წვდომაზე. ამასთან, ის თეორიები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ მხატვრული ნაწარმოებისადმი „სუბიექტურ“ მიდგომას, ემყარებიან ინტუიციურ მეთოდებს, ხოლო „ობიექტური“ ანალიზის მომხრენი მიმართავენ ფორმალიზებად მტკიცებებსა და დასკვნებს და გამოირიცხავენ ინტუიციურად მიკვლეული დებულებებისადმი აპელირების ყოველგვარ შესაძლებლობას.

აღსანიშნავია თვით თეორიულ კონცეფციათა სიმრავლე ლიტერატურათმცოდნეობაში, რაც, უეჭველად მიუთითებს წინააღმდეგობაზე, რომელსაც მხატვრული ტექსტი უწევს მისი ანალიზის ყოველგვარ მცდელობას. ტექსტსა და მის ინტერპრეტაციას შორის ყოველთვის შეიმჩნევა ერთგვარი ნაპრაღი, რის გამოც მკვლევართა ყოველ ახალ თაობას არ აკმაყოფილებს არსებული მეთოდები და ისინი ეძიებენ ჭეშმარიტების წვდომის ახალ გზებს. ეს განსაკუთრებით ეხება იმ თეორიებს, რომლებიც განიხილავენ **პოეტური** ტექსტის ანალიზის პრობლემებს.

ყოველგვარი ტექსტის აღქმა მიმდინარეობს, როგორც ადრესანტის მიერ გარკვეული ინფორმაციის („შეტყობინების“) გადაცემა აღმქმელი სუბიექტისადმი („ადრესატისადმი“), მაგრამ, კონკრეტულად, როგორია ამ ინფორმაციის აღქმა, როდესაც შეტყობინება წარმოადგენს პოეტურ ტექსტს?

თავდაპირველად განვიხილოთ ინფორმაციის გადაცემისა და აღქმის თავისებურებები არაპოეტურ (ყოფით) მეტყველებაში:

„პარტნიორების რეპლიკებს ყოველთვის განაშუალებს შინაგანი მეტყველება, რომელშიც ინტეგრირდება ლექსი-

კური მნიშვნელობები და ყალიბდება ტექსტის საზრისი. დავუშვათ, ერთ-ერთმა პარტნიორმა წარმოთქვა რამდენიმე წინადადება. მეორე პარტნიორის მიერ მათი აღქმისას ეს წინადადებები სემანტიკურად იკუმშება სუბიექტურ, საგნობრივ-თვალსაჩინო და სქემატურ კოდში...“ შემდგომ, შინაგან მეტყველებაში, ...ტექსტი კვლავ იკუმშება და წარმოქმნის კონცეპტს (წარმოადგენას), რომელიც შეიცავს მთელი ტექსტობრივი მონაკვეთის აზრობრივ ბირთვს. კონცეპტი ინახება... მეხსიერებაში და შეიძლება აღდგენილ იქნას იმგვარ სიტყვათა მეშვეობით, რომლებიც ზედმიწევნით ზუსტად არ ემთხვევა აღქმულს. ამასთან, მათში ინტეგრირებულია იგივე საზრისი, რომელსაც შეიცავდა აღქმული გამონათქვამის ლექსიკური ინტეგრალი“ (Жинкин 1982, 84-85). (აქ და ქვემოთ ციტატების თარგმანი ჩემია – თ.ლ.)

მაშასადამე, ჩვეულებრივ (ყოფით) მეტყველებაში ხდება ტექსტის მნიშვნელობის შეკუმშვა შინაგან მეტყველებად, სადაც ერთი სიტყვა (შესაძლოა, ტექსტის სემანტიკურად ყველაზე ღირებული სიტყვა ან, საერთოდ, რაიმე ბგერათკომპლექსი) შეიცავს (აღნიშნავს) ტექსტის ზოგად საზრისს. ეს, რა თქმა უნდა, ენის – და არა მეტყველების – დონეა.

ამკარაა, რომ პოეტური მეტყველების აღქმა არ ექვემდებარება ზემოაღწერილ სქემას. ის, როგორც რიტმულად დანაწევრებული მეტყველება, ეწინააღმდეგება ტრანსფორმაციას შინაგან მეტყველებად ანუ „შეკუმშვას“ და კონკრეტული, ერთმნიშვნელოვანი საზრისის გამოყოფას; ვინაიდან პოეტური ტექსტის მნიშვნელობა განუყოფლადაა დაკავშირებული მის სიტყვიერ გამოხატულებასთან, შეუძლებელია ამგვარი ტექსტის დამახსოვრება აბსტრაქტული „საზრისის“ სახით.

პოეტური ტექსტებისგან განსხვავებით, ყოფითი, აგრეთვე – მეცნიერული ტექსტები უშუალოდ უკავშირდება აზროვნების არაენობრივ სფეროს. აზრის ენობრივი გაფორმება აქ ხორციელდება მხოლოდ მაშინ, „როდესაც საჭიროა მიმართებებისა და კავშირების დადგენა ან კვლევის შედეგების მომზადება წერილობით გადმოცემისა ან ზეპირი მოხსენებისათვის“ (Исследование речевого мышления... 1985, 63). რაც შეეხება ლოგიკას, აქ აბსტრაქტული

აზროვნება განიცდის ენის ზეგავლენას, მაგრამ მის გარეშეც ხორციელდება (Ibidem, 65).

ის გარემოება, რომ მხატვრულ-სახეობრივი აზროვნება უკავშირდება, ძირითადად, მეტყველების (და არა ენის) სფეროს, განაპირობებს ტროპებისა და ფიგურების სპეციფიკურ თავისებურებებს, რომელთა დასახასიათებლად აუცილებელია მათში სინტაგმატური და პარადიგმატური ნიშან-თვისებების გამოვლენა, რაც შეუძლებელია ლინგვისტური ცნებებისა და წარმოდგენების მოხმობის გარეშე.

* * *

თანამედროვე ლინგვისტიკის ფუძემდებლური ცნებები შემუშავებულ იქნა XX საუკუნის დასაწყისში, გამოჩენილი შვეიცარიელი ენათმეცნიერის, ფერდინანდ დე სოსიურის მიერ. სოსიურის სემიოტიკური კონცეფცია ფართოდ გამოიყენება ლიტერატურათმცოდნეობაში და, კერძოდ, პოეტიკაში. შეიქმნა საგანგებო დარგიც – ლინგვოპოეტიკა, რომლის განვითარებაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანა რუსმა ლინგვისტმა და ლიტერატურათმცოდნემ, რომან იაკობსონმა.

სოსიურის თეორიაში ჩვენთვის განსაკუთრებით ღირებულია ენისა და მეტყველების ცნებათა გამიჯვნა, რასაც შვეიცარიელი ლინგვისტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს.

„ენა, – აღნიშნავს მეცნიერი, – არსებობს კოლექტივში, როგორც იმ ანაბეჭდთა ერთობლიობა, რომლებიც ინახება თითოეული ადამიანის გონებაში. ის წააგავს ლექსიკონს, რომლის სავსებით იგივეობრივ ეგზემპლარებს იყენებს მრავალი პიროვნება“ (Сосиур 1977, 57). ენა სხვა არაფერია, თუ არა გარკვეული კოდი. ის არსებობს მხოლოდ ვირტუალურად, ადამიანის გონებაში. ენა რეალიზდება მეტყველების სახით.

მეტყველება წრფივი ხასიათისაა: „სიტყვები მეტყველების დროს უერთდებიან ერთმანეთს და ამყარებენ გარკვეულ ურთიერთმიმართებებს. ეს ურთიერთმიმართებები ეფუძნება ენის წრფივ ბუნებას, რომელიც გამორიცხავს ერთდროულად ორი ელემენტის წარმოთქმის შესაძლებლობას“ (Сосиур 1977, 155). სიტყვათა წრფივ ურთიერთმიმართებებს სოსიური უწოდებს სინტაგმატურ

ურთიერთმიმართებებს. ამგვარად, სინტაგმატიკა მეტყველების პლანს ახასიათებს.

მეორე მხრივ, „მეტყველების პროცესის გარეშე, სიტყვები, რომელთაც საერთო ნიშნები აკავშირებს, ასოცირდება მენსიერებაში გარკვეული ჯგუფების სახით.. მათ საზღვრებში თავს იჩენს მეტად მრავალფეროვანი ურთიერთმიმართებები“ (Ibidem), რომელთაც სოსიური პარადიგმატულ ურთიერთმიმართებებს უწოდებს. პარადიგმატიკა ენის (და არა მეტყველების) პლანს ახასიათებს.

რომელ პლანს განეკუთვნება პოეტური ტექსტები – სინტაგმატიკას თუ პარადიგმატიკას? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გავითვალისწინოთ, რომ პოეტური მეტყველება ყოფითი მეტყველების ნაირსახეობას კი არ წარმოადგენს, არამედ – მასზე აგებული „მეორადი მამოღებელი სისტემაა.“ საგულისხმოა ისიც, რომ პოეტური ტექსტები, როგორც ვთქვით, ეწინააღმდეგება ტრანსფორმაციას შინაგან მეტყველებად. მათი არსი მჭიდროდ უკავშირდება მათსავე წრფივ სტრუქტურას, ე.ი. აუცილებლად სინტაგმატურია.

ამასთან, საინტერესოა, რომ სინტაგმის განსაზღვრა სოსიურთან გარკვეული წინააღმდეგობრიობით ხასიათდება. აღიარებს რა, რომ სინტაგმა მეტყველებითი ჯაჭვის ნაწილია, სოსიური იქვე აღნიშნავს, რომ ზოგიერთი სინტაგმა პარადიგმის ნიშნებს ავლენს. ესაა იმგვარი სინტაგმები, რომლებიც ხშირად გვხვდება ყოფით მეტყველებაში კლიშირებული გამონათქვამების სახით.

თუმცა სოსიური არ აზუსტებს, რა ნიშნით მიაკუთვნებს ამგვარ გამონათქვამებს პარადიგმატულ პლანს, მაგრამ ეს ადვილი მისახვედრია. მათში (მაგ., მოკითხვის გამოთქმებში: „როგორა ხარ?“ – „არა მიშავს“ და მისთ.) დარღვეულია სინტაგმის არსებითი პრინციპი, კერძოდ, დამოუკიდებელი (სემანტიკურად და ა.შ.) ლექსიკური ერთეულების შეკავშირება სინტაგმატურ მიმდევრობაში. კლიშირებულ გამონათქვამებში კი ორი ან მეტი სიტყვა წარმოქმნის ერთიან „სიტყვას“, რის გამოც ქრება მათ შორის არსებული ნაპრაღი.

მაგრამ თუ მეტყველება, საზოგადოდ, სინტაგმატური ბუნებისაა, როგორ შეიძლება, რომ ესა თუ ის სინტაგმა პარადიგმის პლანს განეკუთვნებოდეს?

საქმე ისაა, რომ ფსიქიკის ფიზიოლოგიურ სუბსტრატში – ადამიანის თავის ტვინში – ფუნქციურად ერთმანეთისგან გამიჯნუ-

ლია, ერთი მხრივ, მეტყველების უნარის მქონე ნახევარსფერო (აღადმიანთა უმრავლესობისთვის მარცხენა ნახევარსფერო) და ამ უნარის არმქონე, „მუნჯი“ (მარჯვენა) ნახევარსფერო. ისინი განსხვავდება აზროვნებისა და აღქმის ტიპების მიხედვით, კერძოდ, მარცხენა, „მეტყველ“ ნახევარსფეროში მიმდინარე ფსიქიკური პროცესები ხორციელდება ანალიტიკური პრინციპით, ხოლო მარჯვენაში – სინთეზური პრინციპით, ანუ, ერთი მხრივ, სინტაგმატური და, მეორე მხრივ, პარადიგმატული პრინციპების შესაბამისად.

ამასთან, მეტყველ ნახევარსფეროში სხვადასხვაგვარადაა ლოკალიზებული სინტაგმატური (შუბლის ზონა) და პარადიგმატული (კეფა-ნათხემის ზონა) **ენობრივი** ფუნქციები.

(მარჯვენა ნახევარსფეროს „სიმუნჯე“ შეფარდებითია – ზემონახსენები კლიშირებული გამონათქვამები სწორედ მარჯვენა ნახევარსფეროს განეკუთვნება).

ამგვარად, განვასხვავებთ პარადიგმატულსა და სინტაგმატურ **სააზროვნო პროცესებს** (მარჯვენა და მარცხენა ნახევარსფერო) და, აგრეთვე, პარადიგმატულსა და სინტაგმატურ **ენობრივ ოპერაციებს** (მარცხენა ნახევარსფეროს უკანა და წინა ზონები): პარადიგმატული და სინტაგმატური სააზროვნო პროცესები გამოხატულებას პოულობს თავის ტვინის ნახევარსფეროთა სპეციალიზაციაში, ხოლო მეტყველების პარადიგმატული და სინტაგმატური პლანები – მარცხენა ნახევარსფეროს ზონების სპეციალიზაციაში.

შესაბამისად, პოეტური ტექსტები, რომლებშიც სუსტადაა გამოხატული ევფონიურობა, რიტმულობა და სხვა იმგვარი თვისებები, რომლებიც განახორციელებს ლექსიკური ერთეულების პარადიგმატულ ურთიერთშეკავშირებას, განეკუთვნება მეტყველებისა და აზროვნების **სინტაგმატურ პლანს**, ხოლო ისეთი ტექსტები, რომლებშიც ეს ტენდენციები მკვეთრად ვლინდება, წარმოადგენს იმგვარ **სინტაგმატურ** მიმდევრობებს, რომლებზეც გარკვეულ ზეგავლენას ახდენს აზროვნების პარადიგმატული პლანი.

მნატვრულ მეტყველებაში სინტაგმატური და პარადიგმატული პლანების ურთიერთმიმართების გარკვევის ცდა, რომელიც რ. იაკობსონმა განახორციელა, იმ უპირატესობით გამოირჩევა, რომ მეცნიერმა გაითვალისწინა ფსიქოლოგიის, კერძოდ ნეიროფსიქოლოგიის მონაცემები და განსაზღვრა აზროვნების უნივერსალურ კანონზომიერებათა გამოვლენის ფორმები. იაკობსონის ლინგვო-

პოეტოლოგიურ ნაშრომებში და, განსაკუთრებით, მის სტატიაში „ენის ორი ასპექტი და აფაზიურ დარღვევათა ორი ტიპი“ (1956) გამოამკარავებულისა, რომ მეტაფორასა (პარადიგმატიკა) და მეტონიმიას (სინტაგმატიკა) გამოხატულებას პოეზებს ადამიანის სააზროვნო და მეტყველებითი მოღვაწეობის ფუნქციონალური პრინციპები.

ამასთან, იაკობსონის იდეებმა (რომლებიც მეცნიერის სხვა ნაშრომებშიც აისახა) ვერ პოვა ფართო განვითარება ფილოლოგიაში, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ნაშრომს – ასეთია, მაგალითად, ი.პ. სმირნოვის „მეგაისტორია“ (Смирнов 2000), რომელშიც მსოფლიო ლიტერატურის განხილვის საფუნდამენტზე უაღრესად საყურადღებო დასკვნებია გამოტანილი). ლიტერატურათმცოდნეები, ჩვეულებრივ, ივარგლებიან მხოლოდ შეფასებებისა ან კრიტიკული შენიშვნების გამოთქმით იაკობსონისეული დებულებების მიმართ და, როგორც წესი, არ ცდილობენ ზემოდასახელებული ნაშრომის ძირითადი პოსტულატების გამოყენებას ან განვითარებას.

იაკობსონის ამ ტიპის კვლევებს მოჰყვა ინტერესის გამძაფრება მეტაფორისა და მეტონიმიის მიმართ, რომელთა არსის კვლევისას გამოიყენებოდა, ჩვეულებრივ, ლოგიკის, ზოგადი ფსიქოლოგიის (მაგრამ არა აფაზიოლოგიის) და სხვა მეცნიერებათა მიერ შემუშავებული მეთოდები. შესაბამისად, „ლიტერატურათმცოდნეობაში დარჩა, – ირონიულად შენიშნავს ჟ. ჟენეტი, – ფიგურათა უზადო წყვილი, რომელიც გარდუვალად იწონებს თავს... ჩვენი დღევანდელი რიტორიკის საპატიო ადგილას – მეტაფორა და მეტონიმია“ (Женетт 1998, II: 20). ეს „ტროპოლოგიური რედუქცია“; ჟენეტის აზრით, განხორციელდა „უკვე რუსული ფორმალისმის პრაქტიკაში“ (Ibidem).

ჩამოვაცალიბებთ იაკობსონის ამ ნაშრომის დედააზრს.

სოსიურის დებულებათა კვალობაზე იაკობსონი შენიშნავს, რომ მეტყველებაში ხორციელდება ორი სახის ოპერაციები: ენობრივ ერთეულთა *შერჩევა* და მათი *კომბინირება*.

„ლექსიკურ დონეზე ეს სრულიად თვალსაჩინოა: მოლაპარაკე ირჩევს სიტყვებს და ახდენს მათ კომბინირებას წინადადებად, გამოყენებული ენის სინტაქსური სისტემის შესაბამისად; თავის მხრივ, წინადადებები ერთიანდება გამოთქვამებად. ამასთან, მოლაპარაკეს სრულიად არ ძალუძს

სიტყვათა თავისუფლად შერჩევა: ეს შერჩევა (სპონტანული ნეოლოგიზმების შექმნის იშვიათ შემთხვევათა გარდა) უნდა განხორციელდეს იმ ლექსიკური მარაგის საფუძველზე, რომელიც საერთოა მოლაპარაკისა და ადრესატისთვის“ (Сочин 1977, 112).

ამ ოპერაციებს იაკობსონი კომბინაციასა და სელექციას (ზოგჯერ – სუბსტიტუციას) უწოდებს. მეცნიერი აქვე იმოწმებს სოსიურის მითითებას იმის შესახებ, რომ კომბინაცია „არსებობს in praesentia“, ე.ი. კომბინირებული ენობრივი ერთეულები აუცილებლად წარმოდგენილია „რეალურ ენობრივ ჯაჭვში“. რაც შეეხება სელექციას, ის, სოსიურის თქმით, „აერთიანებს ერთეულებს in praesentia, როგორც ვირტუალური მნემონიკური რიგის წევრებს“, ე.ი. სელექციისას ენობრივ ჯაჭვში მონაწილეობს მხოლოდ ერთ-ერთი ალტერნატიული ერთეული, რომელიც სხვა (მეხსიერებაში დარჩენილ) ენობრივ ერთეულებთან დაკავშირებულია **მსგავსების** მიმართებით. შევნიშნავთ, რომ in praesentia შეკავშირებულ ერთეულებს სოსიური უწოდებდა სინტაგმას, ხოლო in absentia შეკავშირებულთ – პარადიგმას.

იაკობსონი განიხილავს კომბინაციისა და სელექციის უნართა მრავალფეროვან დარღვევებს (აფაზიოლოგიის მონაცემთა საფუძველზე) და აღნიშნავს, რომ კომბინაციის უნარის დარღვევისას ირღვევა მომიჯნავეობის მიმართებები, ხოლო სელექციის უნარის დარღვევისას – მსგავსების მიმართებები. შემდგომ ის განაზოგადებს:

„მეტყველება შეიძლება განვითარდეს ორი აზრობრივი მიმართულებით... მსგავსების ან მომიჯნავეობის მიხედვით. პირველი შემთხვევისთვის აღნიშვნის ყველაზე შესაბამისი ხერხია „მეტაფორის ლერძი“, მეორისათვის – „მეტონიმის“ ლერძი, ვინაიდან ისინი ყველაზე კონცენტრირებულად გამოიხატება მეტაფორასა და მეტონიმიაში.“ (Якобсон 1990, 126).

აქვე იაკობსონი მიუთითებს, რომ ლიტერატურაში პერიოდულად თავს იჩენს ხან მეტაფორის ლერძი (ან პოლუსი), ხან კი – მეტონიმისა:

„არაერთხელ აღნიშნულია, რომ რომანტიზმისა და სიმბოლიზმის სკოლებში გაბატონებული იყო მეტაფორა, მაგრამ ჯერ კიდევ საკმარისად ვერ გავაცნობიერეთ ის ფაქტი, რომ სწორედ მეტონიმიის ბატონობა უდევს საფუძვლად ეგრეთ წოდებულ „რეალისტურ“ მიმართულებას, ეს უკანასკნელი კი შუალედური სტადიაა რომანტიზმის დაცემასა და სიმბოლიზმის ჩასახვას შორის და უპირისპირდება ორივე მათგანს“ (Ibidem, 127).

იაკობსონი საუბრობს ხან *ენის* ორპოლუსიანი სტრუქტურის, ხან კი მეტაფორული და მეტონიმიური „პოლუსების“ შესახებ. ამკარაა, რომ მეტაფორულსა და მეტონიმიურ „პოლუსებში“ იგულისხმება არა მარტო ენის პლანი, არამედ აზროვნებისაც, უფრო ზუსტად – სინთეზი და ანალიზი. ამდენად, მეტაფორული ან მეტონიმიური პოლუსი უფრო ზოგადი განსაზღვრაა და, კერძო შემთხვევაში, მოიცავს ენობრივ ასპექტსაც.

(დავამატებთ, რომ სოსიურის მიხედვით, სელექცია (პარადიგმატიკა) უკავშირდება *ენის* პლანს, ხოლო კომბინაცია (სინტაგმატიკა) – *მეტყველების* პლანს).

ამკარაა, რომ იაკობსონის მიერ განხორციელებული „ტროპოლოგიური რედუქცია“ (ჟ. ჟენეტის ტერმინი) განპირობებულია მეცნიერის ღრმა ინტერესით აზროვნების ზოგადი კანონზომიერებისადმი, რომელთა შესასწავლად მან მიმართა ნეიროფსიქოლოგიას. იმის დასადასტურებლად, რომ მეტაფორისა და მეტონიმიის „ღერძების“ ცნება მოიცავს არა მხოლოდ ენობრივ მოვლენებს, დავიმომშობებთ ცნობილი ნეიროფსიქოლოგის, ა. რ. ლურიას გამონათქვამს: „აღქმის პარადიგმატულ, სინთეზურ და, მეორე მხრივ, სინტაგმატურ, ანალიტიკურ ტიპებს უზრუნველყოფენ თავის ტვინის განსხვავებული სისტემები“ (თარგმანი ჩემია – თ.ლ.) (Лурия 1979, 18); იხ. აგრეთვე: „მარცხენა ნახევარსფეროში ინფორმაციის გადაამუშავება... დისკრეტული, თანმიმდევრული ხასიათისაა, ხოლო მარჯვენა ნახევარსფერო მუშაობს ერთიანობის, ერთდროულობის, სინთეზურობის პრინციპით“ (Лурия 1973, 128).

ამგვარად, სინთეზი და ანალიზი (აზროვნებისა და აღქმის დონეზე) განაწილებულია თავის ტვინის მარჯვენა და მარცხენა ნახევარსფეროთა შორის. რაც შეეხება საკუთრივ სინთეზურ და ანალიტი-

კურ (პარადიგმატულ და სინტაგმატურ) ენობრივ ოპერაციებს, მათ განაგებს მარცხენა, „მეტყველი“ ნახევარსფეროს საგანგებო ზონები (კერძოდ, ტვინის ქერქის უკანა ზონების ფუნქციებს შეადგენს პარადიგმატული ენობრივი ოპერაციების უზრუნველყოფა, ხოლო შუბლის წილი განაგებს სინტაგმატურ სამეტყველო ოპერაციებს).

შეიძლება მოგვეჩვენოს (იაკობსონის ნაშრომთა სახით არსებული პრეცედენტის მიუხედავად), რომ ლიტერატურათმცოდნეობით ნაშრომში არაკორექტულია თავის ტვინის ზონების ფუნქციათა მითითება, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ლინგვისტიკის გამოცდილება. მისი პერსპექტიული დარგები – ფსიქოლინგვისტიკა და ნეიროლინგვისტიკა – აწარმოებენ ფრიად ნაყოფიერ მუშაობას. ისინი ამდიდრებენ, ერთი მხრივ, ლინგვისტიკას, მეორე მხრივ კი – ნეიროფსიქოლოგიას საინტერესო მიგნებებით.

თანამედროვე პირობებში, როდესაც მეცნიერებათა ინტეგრაციის პროცესი საყოველთაო ხასიათს იღებს, ეს გამოცდილება უთუოდ გასაზიარებელია. შევნიშნავთ, რომ ფსიქოლოგიის და, კერძოდ, აფაზიოლოგიის მონაცემებზე დაყრდნობით შეიქმნა ვიარჯის. ივანოვის საყურადღებო ლიტერატურათმცოდნეობითი გამოკვლევები. ამ მონაცემებს ითვალისწინებდა ს.მ. ეიზენშტეინიც, რომლის თეორიულმა ნაშრომებმა ბოლო ხანებში ფართო პოპულარობა მოიპოვა, მათ შორის – ლიტერატურათმცოდნეთა შორისაც. საგულისხმოა ისიც, რომ მ.მ. ბახტინის კლასიკურ გამოკვლევას ქრონოტოპოსის არსისა და სახეობათა შესახებ, აგრეთვე მის ზოგიერთ სხვა ნოვატორულ იდეას საფუძველი დაუდო ფიზიოლოგ ა. უხტომსკის ლექციების მოსმენამ.

რა თქმა უნდა, შემოქმედებასა და აფაზიურ დარღვევათა შორის ანალოგიური ტენდენციების დაფიქსირება არ ნიშნავს უშუალო პარალელის გავლებას შემოქმედის ფსიქიკურ მდგომარეობასა და ნევროლოგიურ დაავადებებს შორის. უბრალოდ, „ყოველი ადამიანის ინდივიდუალურ თავისებურებათა ვარიანტულურობა ნორმაში განპირობებულია ქერქის ფორმაციების არათანაბარი განვითარებით, აგრეთვე – ქერქის ცალკეულ ფორმაციათა განვითარების უპირატესი დონით“ (Лурья 1975, 211), რაც განაპირობებს ამა თუ იმ შემოქმედისთვის დამახასიათებელი აღქმისა და აზროვნების ვარიანტულურობას, ანუ მისი ფსიქოლოგიის ინდივიდუალურ თავისებურებებს.